განმცხადებელი: ანა აფციაური
თარიღი : 26-03-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 7

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:**

1. ტელეკომპანია "მთავარი არხი" ჟურნალისტი ნათია ქოქოსაძე
2. ტელეკომპანია "იმედი", ჟურნალისტები მარიკა ბაკურაძე და ნიკოლოზ წულუკიძე

სადავო მასალა:

1. ტელეკომპანია "მთავარი არხი", გადაცემა "მთავარი", 2021 წლის 15 მარტი, (https://mtavari.tv/news/35952-nikoloz-basilashvilis-sakme-orad-gaqopili) - ტელეკომპანია
2. "იმედი", გადაცემა "იმედის დღე", 2021 წლის 15 მარტი, (https://www.imedi.ge/ge/video/72087/nikoloz-basilashvilis-istoriuli-gamarjveba-da-orad-gakopili-sazogadoeba#!?from=1615766400&page=3)

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

ფაქტობრივი გარემოებები

- ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ჟურნალისტი ნათია ქოქოსაძე 2021 წლის 15 მარტს ტელეკომპანია „მთავარი არხის“ საინფორმაციო გადაცემაში „მთავარი“ ჟურნალისტმა ნათია ქოქოსაძემ მოამზადა სიუჟეტი, სახელწოდებით „ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმე და ორად გაყოფილი საზოგადოება“, რომელიც ნიკოლოზ ბასილაშვილის გამარჯვებას და მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს ეხებოდა. მონოლოგში ჟურნალისტი ამბობს: “ქეთი, როგორც შენ აღნიშნე, სოციალურ ქსელში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ბასილაშვილის საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ვიდრე ამაზე გადავიდოდეთ გეტყვით იმას, თუ როგორი არის თავად ნიკოლოზ ბასილაშვილის უფლებადამცველის პოზიცია...“

- ტელეკომპანია „იმედი“, ჟურნალისტები მარიკა ბაკურაძე და ნიკოლოზ წულუკიძე 2021 წლის 15 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემის „იმედის დღე“ (წამყვანები: ნიკოლოზ წულუკიძე და მარიკა ბაკურაძე) ერთი ნაწილი დაეთმო ნიკოლოზ ბასილაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვას, სადაც სტუმრად მოწვეული იყო ბასილაშვილის ადვოკატი ირმა ჭკადუა. მონოლოგში გადაცემის წამყვანი, მარიკა ბაკურაძე ნიკოლოზ ბასილაშვილზე საუბრისას აცხადებს: “საქართველოში მისი გამარჯვების და სიხარულის გაზიარება ორმხრივად წარიმართა. იმიტომ რომ, მკვეთრად გაიყო მოსაზრებები. ერთი ნაწილი, რომელიც ფიქრობდა, რომ ეს გამარჯვება და ნიკოლოზ ბასილაშვილის მოგება იყო ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ მოსაზრებას დაეჯახა მეორე მხარე, რომელიც ამბობდა, რომ არ შეიძლება ნიკოლოზ ბასილაშვილი გამოვაცხადოთ გმირად, რადგან ეს იქნება ძალადობის წახალისება. ეს ამბავი უკავშირდება ნიკოლოზ ბასილაშვილის ერთ გარკვეულ ძალიან მძიმე ეტაპს, როდესაც მას ჰქონდა ძალიან წარუმატებელი პერიოდი პირად ცხოვრებაშიც და ასევე, შემოქმედებით მხარეშიც“.

  სამართლებრივი დასაბუთება 2021 წლის 15 მარტს ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა ნათია ქოქოსაძემ და ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებმა მარიკა

ბაკურაძემ და ნიკოლოზ წულუკიძემ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპი დაარღვიეს.

მე-7 პრინციპის თანახმად, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე და ყველაფერი უნდა იღონოს დისკრიმინაციის ასაცილებლად.

განსახილველ შემთხვევებში, ჟურნალისტების არასენსიტიური დამოკიდებულება ძალადობის ფაქტის მიმართ, წარმოადგენს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების მცდელობას. გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა ქალების მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაც ვერ ამოიწურება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ქმედების კრიმინალიზებით. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლებად მნიშვნელოვანია ძალადობის ფორმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სენსიტიზაცია. ჟურნალისტი ძალადობის საკითხების გაშუქებისას განსაკუთრებულ სოციალურ პასუხისმგებლობას უნდა იჩენდეს. მნიშნელოვანია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, „განსაკუთრებულ პრობლემად მიიჩნევს სახელმწიფოს მხრიდან შერჩევით მიდგომას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის იმ საქმეებზე რეაგირებისას, სადაც მოძალადე გავლენიანი პირია. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს მიდგომები იცვლება, რეაგირება დაყოვნებულია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალ წერტილად არა მსხვერპლის უფლებები, არამედ მოძალადის ინტერესები განიხილება“(საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 2019 წელი, გვ. 197).

გამომდინარე იქიდან, რომ ჟურნალისტებს იცოდნენ, ერთი მხრივ, ნიკოლოზ ბასილაშვილის საჯარო სტატუსი, ხოლო მეორე მხრივ, ესმოდათ საქმის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი, საკითხზე მუშაობის დროს უნდა ეხელმძღვანელათ მსხვერპლი ქალის ინტერესებით და თავიდან აეცილებინათ მისი შესაძლო დისკრიმინაცია, რევიქტიმიზაცია.

ქალთა მიმართა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. „სტამბულის კონვენცია“), რომლის რატიფიცირება საქართველომ 2017 წელს მოახდინა, პასუხისმგებლობას აკისრებს კერძო სექტორს, კერძოდ, მედიასა და ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს, შექმნას თვითრეგულირების სტანდარტები ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და მათი ღირსების პატივისცემის გასაუმჯობესებლად(მუხლი 17). -„ორად გახლეჩილი საზოგადოება“, „სიხარულის გაზიარება ორმხრივად წარიმართა“ ძალადობის, მით უფრო, ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქებისას, ჟურნალისტი უნდა ეცადოს საკითხი არ წარმოაჩინოს ორ მხარეს შორის დაპირისპირებად. ამგვარი გაშუქება ოჯახში ძალადობას/ქალთა მიმართ ძალადობას არა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ შელახვად, არამედ პირებს შორის პირად კონფლიქტად წარმოაჩენს. „მასმედიის მიერ ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევის გაშუქებამ კონტექსტის წარმოდგენის გარეშე, და სენსაციურობისათვის უპირატესობის მინიჭებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამყაროს გენდერულ სტერეოტიპები, რომლებიც იწვევენ გენდერული ნიშნით ძალადობის გამყარებას“ (ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობის წახალისება: სტამბულის კონვენციის მე-17 მუხლი, 2016, გვ. 12) დამატებით, ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების პრაქტიკა აჩვენებს, რომ „ყოველი რეპორტაჟი წარმოდგენილია როგორც ცალკე აღებული და განსაკუთრებული. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის, როგორც სტრუქტურული პრობლემის, ანალიზის ნაკლებობის გამო, ხდება საკითხის ნორმად ქცევა. ეს ნიშნავს, რომ

ზემოაღნიშნული პრობლემა მიიჩნევა „სხვის“ პრობლემად, და არა საზოგადოების საერთო და ზოგად პრობლემად“ (ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობის წახალისება: სტამბულის კონვენციის მე-17 მუხლი, 2016, გვ. 45). -„მას ჰქონდა ძალიან წარუმატებელი პერიოდი პირად ცხოვრებაშიც და ასევე, შემოქმედებით მხარეშიც“

ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტი მარიკა ბაკურაძე ნიკოლოზ ბასილაშვილის მიერ ყოფილ მეუღლეზე განხორციელებულ ძალადობას, რომელთან დაკავშირებითაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული, პირად ცხოვრებაში „ძალიან წარუმატებელ პერიოდად“ მოიხსენიებს. თანაწამყვანმა, ნიკოლოზ წულუკიძემ, არ სცადა ამ რეპლიკის კომენტირება ან შესწორება. ძალადობის „წარუმატებლობად“ წარმოჩენა შესაძლოა მომავალში ძალადობის არაერთი შემთხვევა წაახალისოს. ჟურნალისტი არანაირ ემპათიას არ გამოხატავს მსხვერპლი ქალის მიმართ და მასზე განხორციელებულ ძალადობას პროფესიული წარუმატებლობის კონტექსტში განიხილავს. საკითხის ასეთი განხილვა არა მხოლოდ კონკრეტულ მსხვერპლზე უარყოფითი ზემოქმედების საფრთხეს ქმნის, არამედ ძალადობისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ნორმალიზების მცდელობასაც წარმოადგენს. „მედიის მიერ ოჯახში ძალადობის,... გენდერული სტერეოტიპირებისა და სენსაციონალიზაციის გარეშე, დაეხმარება ნათელი მოეფინოს რეალურ პრობლემას, რომელიც არის ქალთა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობის ნაკლებობა და შედეგად - უთანასწორო ძალაუფლების დინამიკა პირად და საქმიან ურთიერთობებში" (ევროპის საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობის წახალისება: სტამბულის კონვენციის მე-17 მუხლი, 2016, გვ. 57).

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები